დამტკიცებულია
შპს „ქ. თბილისის საშუალო სკოლა ლამპარის“

დირექტორის ბრძანებით

შპს „ქ. თბილისის საშუალო სკოლა ლამპარის“

სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

შპს „ქ. თბილისის საშუალო სკოლა ლამპარის“ (შემდგომში: „სკოლა“) წინამდებარე სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი არეგულირებს სკოლის შენობაში პირველადი დახმარების გაწევის წესსა და პროცედურებს. წინამდებარე დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითადი ელემენტები და განსახორციელებელი ქმედებები, რათა მათი ზუსტი შესრულებით შეუნარჩუნოთ ადამიანს ჯანმრთელობა.

მუხლი 2. სამედიცინო დახმარების კაბინეტი

1. სკოლის პირველ სართულზე, ხელმისაწვდომ ადგილას პირველადი სამედიცინო დახმარების მისაღებად მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი.
2. სამედიცინო დახმარების კაბინეტის მოწყობისას გათვალისწინებულია ყველა არსებული ნორმატიული აქტი და შესაბამისი ორგანოების რეკომენდაციები;
3. სკოლა იღებს ვალდებულებას იზრუნოს სამედიცინო დახმარების კაბინეტის მუდმივ გაუმჯობესება და ნორმატიულ აქტების ცვლილების შემთხვევაში მათთან შესაბამისობაში მოყვანაზე;
4. ინფრასტრუქტურის მხრივ კაბინეტში არის საკმარისი სივრცე პირთა მისაღებად და საჭირო ინვენტარის გამოსაყენებლად. კაბინეტი უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით. კაბინეტი შესაძლებელია განიავდეს ბუნებრივი ვინტილაციის გზით.
5. კაბინეტი უზრუნველყოფილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ყველა ინვენტარით. ინვენტარის დაზიანების შემთხვევაში დაუყოვნებლივ ხდება მათი ახლით ჩანაცვლება;
6. სამედიცინო დახმარების კაბინეტში მდებარე მაცივარსა და კარადაში განლაგებულია ყველა ის მედიკამენტი, ანტისეპტიკური და შესახვევი საშუალებები, რომელთა გამოყენება დასაშვებია სკოლის მოსწავლეების მიმართ.

მუხლი 3. ადამიანური რესურსი

სამედიცინო დახმარების გასაწევად, სკოლა ხელშეკრულებას დებს შესაბამისი განათლებისა და კვალიფიკაციის მქონე პირთან.

მუხლი 4. გაუთვალისწინებელი, უბედური შემთხვევების დადგომის დროს გასატარებელი ღონისძიებები

1. გაუთვალისწინებელი, უბედური შემთხვევების დადგომის დროს პირმა, რომელიც იმყოფება დაზარალებულთან:

ა) მიმართოს პირველად სამედიცინო დახმარებაზე უფლებამოსილ პირს (ტელეფონზე დარეკვით);

ბ) დროულად შეატყობინოს ადმინისტრაციას აღნიშნული ფაქტის შესახებ;

გ) არ გაუწიოს დაზარალებულს პირველადი სამედიცინო დახმარება (გარდა იმ შემთხვევისა თუ აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია), არ გადაადგილოს დაზარალებული (გარდა იმ შემთხვევისა თუ აღნიშნული ემსახურება მისი სიცოცხლის გადარჩენას);

დ) დარჩეს დაზარალებულთან, სანამ ექიმი/ექთანი მოვა;
ე) აუცილებლობის შემთხვევაში დაუკავშირდეს 112-ს.
2. წინამდებარე წესს დანართი N1 სახით თან ერთვის პირველადი სამედიცინო დახმარების მექანიზმები.

მუხლი 5. სამედიცინო პერსონალის კომპეტენცია

1. სკოლის სამედიცინო პერსონალის კომპეტენციაა:
ა) მოახდინოს დაუყოვნებელი რეაგირება მოსწავლის ან სკოლის პერსონალის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ გადაუდებელ მდგომარეობაზე (ტრავმა, დაზიანება, დამწვრობა, მწვავე ტკივილი, მოწამვლა, ასფიქსია, კრუნჩხვა, შოკი, ცნობიერების მოშლა, ცხელება და სხვა მსგავსი მდგომარეობა);
ბ) შეაფასოს მდგომარეობის სიმძიმე და მიიღოს გადაწყვეტილება სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახების შესახებ;
გ) მოსწავლის მდგომარეობის გათვალისწინებით, დაუკავშირდეს მშობელს და მოახდინოს მის ინფორმირება მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. საჭიროების შემთხევვაში, მიიღოს მშობლისგან თანხმობა მოსწავლის ნებისმიერი მედიკამენტით მკურნალობის თაობაზე.
დ) მოახდინოს მოსწავლის მდგომარეობაზე დაკვირვება მომდევნო ნახევარი საათის განმავლობაში ან სასწრაფო დახმარების მოსვლამდე;
ე) მოსწავლის მდგომარეობის გათვალისწინებით, მიმართოს დირექტორატს (სკოლის ხელმძღვანელობისნ მიერ შეთანხმებული ფორმით) მათი საგაკვეთილო პროცესიდან განთავისუფლების შესახებ, მიმართოს მოსწავლის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენელს და მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;
ვ) სამედიცინო შემთხვევებთან დაკავშირებული მიმართვები აღრიცხოს სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალში და გაწეული სამედიცინო დახმარების შესახებ ინფორმაცია შეიტანოს სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმაში (დანართი N1.1);
ზ) შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან ერთად მოახდინოს სკოლაში იმ გარემო ფაქტორების შეფასება, რომლებიც შეიცავს ფიზიკური დაზიანების რისკებს (სიმაღლიდან ვარდნა, დაცემა, ჭრილობის მიყენება, დამწვრობა და ა.შ); მიიღოს პრევენციული ზომები; შეატყობინოს სკოლის შესაბამის პასუხისმგებელ პირს საფრთხის არსებობის შესახებ და გაუწიოს ზედამხედველობა საფრთხის სრულად აღმოფხვრის პროცესს;
თ) საჭირო პერიოდულობით განახორციელოს სამედიცინო შემოწმების ღონისძიებები:
თ.ა) ბავშვთა ასაკში გავრცელებული იმ დაავადებების დროული აღმოჩენისა და გართულების პრევენციისათვის, როგორიცაა: სქოლიოზი, ბრტყელი ან/და ვალგუსური ტერფი, ტანადობასთან დაკავშირებული სხვა დარღვევები, მხედველობისა და მეტყველების დარღვევები, პირის ღრუს დაავადებები;
თ.ბ) მოსწავლის ანთროპომეტრული მონაცემების შეფასება ასაკობრივ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;
თ.გ) პედიკულოზის პრევენციის მიზნით;
ი) მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე

სამედიცინო მეთვალყურეობა გაუწიოს ქრონიკული დაავადების მქონე და ხშირად მოავადე მოსწავლეებს;
კ) ჩატარებული სამედიცინო შემოწმების შედეგად გამოვლენილი ჯანმრთელობის პრობლემის მქონე მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან იქონიოს კომუნიკაცია და გასცეს საჭირო რეკომენდაციები;
ლ) გაატაროს საჭირო ღონისძიებები სკოლაში ინფექციური დაავადებების გავრცელების პრევენციისთვის. საჭიროების შემთხვევაში, მიმართოს შესაბამის უწყებებს;
მ) გაუწიოს ზედამხედველობა მოსწავლეთა იმუნიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს (ჩატარებული გეგმური და არაგეგმური აცრების ისტორიის ამსახველი დოკუმენტების მოთხოვნა მოსწავლის მშობლისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და მათი შესწავლა. გამოტოვებული ან/და უახლოეს პერიოდში აცრების ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული ვაქცინაციის ჩატარების აუცილებლობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლისთვის);
ნ) განახორციელოს მოსწავლეებთან, მშობლებთან, მასწავლებლებთან ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული საქმიანობა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ცხოვრების ჯანსაღი წესი, მავნე ჩვევების დაძლევა, პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული საკითხები, ჯანმრთელობის ხელშეწყობა, მათ შორის მოზარდთა რეპროდუქციული ჯანმრთელობა, ნაადრევი ქორწინების რისკები და სხვა;
ო) განახორციელოს სკოლის სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შესრულებაზე ზედამხედველობა. სკოლის დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პერსონალს მიაწოდოს ინფორმაცია დალაგების წესის, გამოსაყენებელი ხსნარების, დასუფთავების რეჟიმის, ნარჩენების მართვისა და სხვა დაკავშირებული დეტალების შესახებ;
პ) გაუწიოს ზედამხედველობა სკოლაში სასმელი წყლისა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაცვას;
ჟ) მიიღოს მონაწილეობა მოსწავლის დღის რეჟიმის, საგაკვეთილო და დასვენების რეჟიმის შემუშავებაში;
რ) განახორციელოს მოსწავლეზე ძალადობის, არასათანადო მოპყრობის ან სხვა მსგავსი ფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში, სკოლის დირექტორატის, სოციალური სამსახურის და სხვა შესაბამისი უწყებების ინფორმირება კანონმდებლობით დადგენილი წესით;
ს) ძალადობის მსხვერპლი მოზარდის ამოცნობის/შეფასების, რეფერირებისა და შესაბამისი დოკუმენტირების უზრუნველყოფის მიზნით, მოზარდის მიმართ განხორციელებული ძალადობის ეჭვის, საფუძვლიანი ეჭვისა და დადასტურებულ შემთხვევაში, სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმასთან ერთად შეავსოს ბავშვის მიმართ ძალადობის/სექსუალური ძალადობის დოკუმენტაცია „ამბულატორიული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის“ შესაბამისად;
ტ) განახორციელოს წლის განმავლობაში დაგროვილი ინფორმაციის ანალიზი (სამედიცინო შემთხვევების რაოდენობა და ტიპები, პერიოდული სამედიცინო შემოწმებით გამოვლენილი განვითარების დარღვევები, სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემები და ა.შ.) და მოამზადოს საჭირო წინადადებები და რეკომენდაციები სკოლის ხელმძღვანელობისათვის წარსადგენად;
უ) დაიცვას პერსონალური მონაცემები კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. დაუშვებელია მოსწავლის ჯანმრთელობის პრობლემით მიმართვისას, სკოლის ექიმი/ექთანი შემოიფარგლოს მხოლოდ მის მიერ ჩატარებული სამედიცინო ჩარევით, როცა სახეზეა მოსწავლის სამედიცინო დაწესებულებასთან მიმართვის აუცილებლობა.
3. დაუშვებელია სკოლის ექიმი/ექთანი სასწავლო დაწესებულებაში განსაზღვრული სამუშაო საათების დროს დაკავდეს პარალელური პროფესიული საქმიანობით (სკოლის ექიმს/ექთანს არ ეკრძალება პარალელური ინდივიდუალური საექიმო/საექთნო საქმიანობა ან სამედიცინო დაწესებულებაში საქმიანობა, თუმცა, აღნიშნული საქმიანობა უნდა განახორციელოს მხოლოდ სკოლის ექიმისთვის/ექთნისთვის განსაზღვრული სამუშაო საათების მიღმა).
4. დაუშვებელია სკოლის ექიმის/ექთნის მხრიდან ნებისმიერი სახის გულგრილობა დაკისრებული მოვალეობების მიმართ.
5. სკოლის სამედიცინო პერსონალი ვალდებულია მის მიერ წარმოებული სამედიცინო შემთხვევები აღრიცხოს სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალში, რომელიც უნდა მოიცავდეს ისეთ ზოგად ინფორმაციას, როგორიცაა: პაციენტის სახელი, გვარი, კლასი (ასაკი), მიმართვის თარიღი და მიზეზი (დანართი N1.1.1);
6. სკოლის ექიმის/ექთნის მიერ წარმოებული სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი და სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმა წარმოადგენს სკოლის სამედიცინო დოკუმენტაციას, რომელიც შესაძლებელია წარმოებულ იქნეს როგორც ელექტრონულად, ისე ქაღალდის მატარებელზე და მასზე წვდომა ექნება სკოლის ექიმს/ექთანს. სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი ინახება დახურვიდან 5 წლის ვადით, ხოლო სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმა მოსწავლის მიერ სკოლის დამთავრებამდე/სხვა სკოლაში გადასვლამდე, რის შემდეგაც გადაეცემა მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს/სრულწლოვან კურსდამთავრებულს სხვა დოკუმენტებთან ერთად. სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი 5 წლის ვადის გასვლის შემდეგ განადგურდება წაშლის/მატერიალურად განადგურების გზით.

მუხლი 6. პაციენტის უფლებები

1. პაციენტს, ხოლო მისი თანხმობის ან მცირეწლოვანების შემთხვევაში – პაციენტის, კანონიერი წარმომადგენლის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით მისი ნათესავის ნებართვით უფლება აქვთ:

   ა) გაეცნონ სამედიცინო ჩანაწერებს და მოითხოვონ პაციენტის შესახებ არსებულ ინფორმაციაში შესწორების შეტანა; სამედიცინო ჩანაწერებში ინახება როგორც შესწორებამდე არსებული, ისე პაციენტის, კანონიერი წარმომადგენლის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით მისი ნათესავის მიერ მიწოდებული ახალი ინფორმაცია;

   ბ) მოითხოვონ სამედიცინო ჩანაწერების ნებისმიერი ნაწილის ასლი.

2. პაციენტს შეიძლება არ მიეწოდოს ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ან ამ ინფორმაციის მოცულობა შეიზღუდოს, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ სრული ინფორმაციის მიღება პაციენტის ჯანმრთელობას სერიოზულ ზიანს მიაყენებს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სრული ინფორმაცია მიეწოდება მის მშობელს.

3. პაციენტს, კანონიერ წარმომადგენელს ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით მის ნათესავს ინფორმაცია მიეწოდებათ მათი აღქმის უნარის გათვალისწინებით. განმარტების მიცემისას სპეციალური ტერმინები მინიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული.
4. მოსწავლისათვის გარკვეული სახის მედიკამენტების მიცემამდე ექიმი კონსულტაციას გაივლის პაციენტის კანონიერ წარმომადგენელთან.
5. 16 წელზე მეტი ასაკის არასრულწლოვან პაციენტს, რომელიც, სამედიცინო მომსახურების გამწევის შეხედულებით, სწორად აფასებს საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობას, უფლება აქვს, ინფორმირებული თანხმობა ან უარი განაცხადოს სამედიცინო მომსახურების გაწევაზე. პაციენტის ამ გადაწყვეტილების შესახებ ეცნობება კანონიერ წარმომადგენელს ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით მის ნათესავს.
6. არასრულწლოვან პაციენტს აქვს საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მკურნალობის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება (გარდა ამ მუხლის მეორე პუქნტისა). მიწოდებული ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს მის ასაკსა და გონებრივი განვითარების დონეს.
7.პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა კონფიდენციალურია და მისი პერსონალური მონაცემების გამჟღავნება დაუშვებელია.

მუხლი 7. აღჭურვილობის უსაფრთხოება

1. ექიმის კაბინეტის აღჭურვილობამ არ უნდა შეაფერხოს ექიმის მიერ პაციენტის მიღება/გასინჯვის/მკურნალობის პროცედურა;
2. ექიმის კაბინეტში არსებული აღჭურვილობა უნდა იყოს ისეთი ნივთიერებებისგან დამზადებული, რომელიც ადვილად დეზინფიცირდება;
3. ქიმიური საშუალებები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, უნდა ინახებოდეს განცალკევებით სპეციალური ორიგინალი მონიშვნის (შეფუთვის) გამოყენებით;
4. ექიმის კაბინეტის დალაგება-დასუფთავება უნდა ხდებოდეს შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებით;
5. დაუშვებელია დასუფთავების დროს ნივთიერებების გადაადგილება.

მუხლი 8. წესის მიღება და მასში ცვლილების შეტანა

1. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმებს შეიმუშავებს და ბრძანებით ამტკიცებს სკოლის დირექტორი.
2. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული წესით.

პირველადი დახმარების პროტოკოლი

1. გადაუდებელი სამედიცინო სამსახურის გამოძახება.

- ძალიან მნიშვნელოვანია გადაუდებელი სამედიცინო დახმარების დროული გამოძახება: **დარეკეთ ნომერზე: 112;**
- თუ გყავთ დამხმარე - დროულად გააგზავნეთ ის სამედიცინო სამსახურის გამოსაძახებლად.

2. პირველი დახმარება გულის წასვლის დროს:

- დააწვინეთ დაზარალებული ზურგზე და ქვედა კიდურები განალაგეთ ვერტიკალურად.
- უზრუნველყავით სუფთა ჰაერის მიწოდება;
- მას შემდეგ, რაც დაზარალებულს დაუბრუნდება ცნობიერება, გაამხნევეთ და დაეხმარეთ მას ნელ-ნელა წამოჯდომაში;
- გულმოდგინედ ჩაატარეთ განმეორებითი დათვალიერება, რადგან შესაძლებელია დაცემისას დაზარალებულს მიეღო ტრავმა, გაუწიეთ პირველი დახმარება დაზიანების შესაბამისად.

- თუ დაზარალებულს სწრაფად არ უბრუნდება ცნობიერება, გახსენით სასუნთქი გზები, შეამოწმეთ სუნთქვა და ცირკულაციის ნიშნები. საჭიროების შემთხვევაში მზად იყავით სარეანიმაციო ღონისძიებების ჩასატარებლად.
- თუ გონზე მოსვლის შემდეგ დაზარალებული კვლავ ცუდად გრძნობს თავს, ურჩიეთ მას დაწვეს ზურგზე და აუწიეთ ფეხები, სანამ ზოგადი მდგომარეობა ბოლომდე არ გაუმჯობესდება.

3. **ხელოვნური სუნთქვის ჩატარების ტექნიკა**

- ჩაბერეთ დაზარალებულს პირში 5 წამში ერთხელ. ყოველი ჩაბერვის შემდეგ მოაშორეთ ტუჩები დაზარალებულის პირს და შემდეგ ჩაბერვამდე დაელოდეთ გულმკერდის კედელი დაუბრუნდეს საწყის მდებარეობას;
- ყოველი 10 ჩაბერვის შემდეგ კვლავ გადაამოწმეთ სუნთქვა და ცირკულაციის ნიშნები; თუ ცირკულაციის ნიშნები არ არის, ეს ნიშნავს რომ გული გაჩერებულია და თქვენ სწრაფად უნდა დაიწყოთ გულის არაპირდაპირი მასაჟი:



- დადექით მუხლებზე დაზარალებულის გულმკერდის გასწვრივ. მოძებნეთ დაზარალებულის დვრილების შემაერთებელი ხაზის შუა წერტილი. ამ წერტილის ქვევით ვათავსებთ ერთ ხელს,ისე, რომ მკერდის ძვალზე იდოს მხოლოდ მტევნის უკანა ნაწილი; ეს არის ის ადგილი, რომელზეც თქვენ უნდა მოახდინოთ ზეწოლა;

- დაადეთ მტევანი ზემოდან მეორე ხელს, შეჭიდეთ თითები და ასწიეთ ზემოთ ისე, რომ მკერდის ძვალზე იდოს მხოლოდ მტევნის უკანა ნაწილი;
- გაშალეთ ხელები იდაყვის სახსარში ისე, რომ თქვენს ხელებსა და გულმკერდის წინა კედელს შორის იყოს სწორი კუთხე. მოახდინეთ ზეწოლა მკერდის ძვალზე ისე, რომ ზეწოლის სიღრმე არ აღემატებოდეს 4-5 სმ-ს. ზეწოლის შემდეგ, ხელების მოუშორებლად მიეცით მკერდის ძვალს საწყის მდებარეობაში დაბრუნების საშუალება. ზეწოლისას ითვალეთ: "ერთი, ორი, სამი, ოთხი 15-მდე" ისე რომ 1 წუთში გამოვიდეს 100 ზეწოლა მკერდის ძვალზე.

4. თუ თქვენ მარტო ხართ:

მოახდინეთ 15 ზეწოლა. ამის შემდეგ თქვენ უნდა:

- დაიწყოთ ხელოვნური სუნთქვა. ამისათვის გახსენით სასუნთქი გზები და გააკეთეთ 2 ჩაბერვა.
- გააგრძელეთ გულ-ფილტვის რეანიმაცია შეფარდებით 15 ზეწოლა მკერდის ძვალზე/ 2 ჩაბერვა,სანამ: არ აღდგება სუნთქვა და ცირკულაციის ნიშნები; არ მოვა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება ან დამხმარე, რომელმაც იცის გულ-ფილტვის რეანიმაციის ტექნიკა; ფიზიკურად არ გადაიღლებით.
- ყოველ 1 წუთში ანუ 4 ციკლის ჩატარების შემდეგ თქვენ უნდა შეწყვიტოთ გულ-ფილტვის რეანიმაცია და გადაამოწმოთ სუნთქვა და ცირკულაციის ნიშნები;
- თუ თქვენ გყავთ დამხმარე ერთ-ერთი აკეთებს გულის არაპირდაპირ მასაჟს, ხოლო მეორე ხელოვნურ სუნთქვას. ამ შემთხევვაშიც გულ-ფილტვის რეანიმაცია ტარდება შეფარდებით: 15 ზეწოლა მკერდის ძვალზე / 2 ჩაბერვა. ასეთ შემთხვევაშიც 1 წუთის შემდეგ შეწყვიტეთ გულ-ფილტვის რეანიმაცია ცირკულაციის ნიშნებისა და სუნთქვის შემოწმების მიზნით.

დანართი N1.1.

სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმა

(სააღრიცხვო ფორმაში წარმოებული ინფორმაცია კონფიდენციალურია)

1. დაწესებულების დასახელება ----------;
2. ექიმის სახელი, გვარი ----------;
3. პაციენტის სახელი, გვარი ----------;
4. დაბადების წელი, თვე, რიცხვი ----------;
5. კლასი ----------;
6. პაციენტის სტატუსი: მოსწავლე; პერსონალი; სხვა ----------;
7. მომართვის თარიღი: ---------- (რიცხვი, თვე, წელი). დრო: ---------- (საათი, წუთი);
8. მომართვის საფუძველი: ----------;
9. გამოხატული სიმპტომები: ----------;
10. შემდგომი რეკომენდაცია: ----------;

მოხდა გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახება:

- დიახ;
- არა;

გადაუდებელი დახმარების სამსახურისთვის მიმართვის დრო:

---------- სთ. ---------- წთ.

მიემართა პაციენტის ოჯახის წევრს/კანონიერ წარმომადგენელს:

- დიახ;
- არა;

სამედიცინო პერსონალის ხელმოწერა: ----------;

პაციენტის/მშობლის/კანონიერ წარმომადგენლის ხელმოწერა:----------;

დანართი N1.1.1.

სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი

(ჟურნალში წარმოებული მონაცემები კონფიდენციალურია)

N	პაციენტის სახელი, გვარი	ასაკი	კლასი	მომართვის მიზეზი	მომართვის თარიღი	კომენტარი
1.						
2.						
3.						
4.						
5.						
6.						
7.						